

შპს “ქცია”

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ფინანსური ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომხადების საფუძვლები	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	7
4. ამონაგები.....	9
5. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება.....	9
6. გაყიდვის ხარჯები	9
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9
8. ძირითადი საშუალებები	10
9. საინვესტიციო ქონება.....	11
10. ინვესტიციები ერთობლივ საწარმოში.....	Error! Bookmark not defined.11
11. მარაგები	11
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11
13. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	12
14. მიღებული სესხები	12
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12
16. საგადასახადო ვალდებულება	13
17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	13
18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	14

შპს ქცია


სრული შემოსავლის ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	4	9568519	5842474
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	5	8556466	-4465790
საერთო მოგება		1012054	1376684
სხვა შემოსავალი		0	0
გაყიდვის ხარჯები	6	0	0
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	676857	982865
სხვა ხარჯი		0	0
საოპერაციო მოგება		335196	393819
წილი ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოს (ზარალიდან) მოგებიდან		0	0
საპროცენტო ხარჯი		0	21990
მარაგების გაუფასურების ხარჯი	11	0	0
მოგება საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	9	0	0
საკურსო სხვაობის მოგება (ზარალი), წმინდა		21990	0
მოგება დაბეგვრამდე		357186	371829
მოგების გადასახადის ხარჯი		0	0

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 15 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



თეიმურაზ გოგრიჭიანი



10 - 19 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ქცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021	01.01.2021
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	1145958	1155454	1148479
საინვესტიციო ქონება	9	201918	839	
არამატერიალური აქტივები		52499	56654	61543
ინვესტიციები ერთობლივ საწარმოში	9			
		1400374	1212947	1210022
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	10	319092	266637	473516
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	2145698	1525755	841451
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	691624	2229	260388
საგადასახადო აქტივი		258256		
		3414671	1794621	1575355
სულ აქტივები		4815045	3007568	2785377
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		9326	9326	9326
გაუნაწილებელი მოგება		1996348	1701081	1637673
სხვა რეზერვები				0
		2005674	1710407	1646999
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	13			670401
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	13	0	0	0
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	2809371	1187589	467977
საგადასახადო ვალდებულებები	15	0	109571	0
		2809371	1297161	1138378
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		4815045	3007568	2785377

10 - 19 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.
შპს ქცია

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	ჯამი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრისთვის	9326	1637673	0	1646999
მფლობელებზე განაწილებული გამოცხადებული დივიდენდები	0	308421	0	308421
მთლიანი სრული შემოსავალი		371830		371830
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	9326	1701081	0	1710407
მფლობელებზე განაწილებული გამოცხადებული დივიდენდები	0	61919	0	61920
მთლიანი სრული შემოსავალი		357186		357186
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	9326	1996348	0	2005674

10 - 19 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ქცია

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		357186	371830
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		1451529	1385557
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	8	27825	60000
მარაგების ჩამოწერა		51255	-208079
საპროცენტო ხარჯი		0	21990
ერთობლივი საწარმოს მოგების (ზარალის) წილი		0	0
მოგება საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	9	0	0
(მოგება) ზარალი საკუროსო სხვაობებიდან			
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		1887797	1631297
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა) შემცირება		619105	685142
მარაგების (ზრდა) შემცირება		52455	-206879
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (შემცირება) ზრდა		-1621782	-719612
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა		0	0
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან გადახდილი პროცენტამდე		937575	1389948
გადახდილი პროცენტები		0	-21990
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		937575	1367958
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	8	-331239	-241297
საინვესტიციო ქონების შესყიდვა	9	-14981	0
არამატერიალური აქტივები შესყიდვა		0	0
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობისთვის:		-346220	-241297
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:			
მიღებული სესხები		0	0
მიღებული სესხების დაფარვა		0	-670401
გადახდილი დივიდენდები		-61920	0
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:		529436	1126661
ფულისა და ფულის ეკვივალენტების ზრდა		689,395	-258,109
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	12	2229	260338
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში არსებულ ნაშთებზე		0	0
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	12	691624	2229

შპს ქცია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ქცია (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 1996 წლის ნოემბერში, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია:

ძირითადი საქმიანობა

საავტომობილო გზების მშენებლობა, მოდერნიზაცია, რეაბილიტაცია.

სამშენებლო მასალების (ქვიშა, ღორღი, ფრაქციული ღორღი) და ასფალტობეტონის რეალიზაცია.

კომპანიის მფლობელები 2021 და 2022 წლის 31 დეკემბრის, ასევე 1 იანვრის მდგომარეობით, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	წილი
ვლადიმერ ტყეშელაშვილი	50
პაატა შუბითიძე	50

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის” (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული მეოთხე ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი.

2017 წლის 1 იანვრამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად, მსს ფასს-ებზე გადასვლას არ გამოუწვევია საწყისი ნაშთების კორექტირება.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა საინვესტიციო ქონების და ძირითადი საშუალებებში წარდგენილი შენობებებისა და მიწების, რომლებიც 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილია რეალური ღირებულებით.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი

პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები. აქტივებზე ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

რეალური ღირებულებით შეფასება. კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულებით შეფასება და განმარტება.

ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. ხარჯები, რომლებიც გამოიყენება რეალური ღირებულების შეფასებისთვის, კლასიფიცირდება სხვადასხვა დონეზე, იმის მიხედვით თუ რამდენად შესაძლებელია ხარჯები არის გამოყენებული შეფასების მეთოდის განსაზღვრისთვის (რეალური ღირებულების იერარქია):

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული)
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორიცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

კომპანია რეალური ღირებულებით აფასებს საინვესტიციო ქონებას და ძირითად საშუალებებში წარდგენილ შენობებსა და მიწებს (შენიშვნა 8,9).

შპს ქცია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

4. ამონაგები

	2022	2021
საქონლის გაყიდვიდან	2738934	2056578
მომსახურების გაწევიდან	6829585	3785896
	9568519	5842474

5. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება

	2022	2021
კომუნალური ხარჯი	524933	483825
მოსახურების ხარჯი	179234	21770
ცვეთა და ამოტრიზაცია	152118	179210
მიმდინარე რემონტის ხარჯი	350768	311737
პირდაპირი ხელფასი	1098424	1042736
გახარჯული მარაგები	6250989	2426511
	8556466	4465790

6. გაყიდვის ხარჯები

	2021	2020
	0	0

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
ხელფასები	487568	541668
ცვეთა და ამოტრიზაცია	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	21990
ტრანსპორტირების ხარჯი	0	0
ოფისის ხარჯი	118	226
საგადასახადო ხარჯი, მოგების გადასახადის გარდა	31860	29895
ბანკის საკომისიო	1396	3476
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება	7616	0
საკომუნიკაციო ხარჯი	2755	2110
ა/მანქანის შეკეთების ხარჯი	1064	6366
ტენდერში მონაწილეობის ხარჯი	32405	43480
საბანკო გარანტიის მომსახურების ხარჯი	23086	0
საკანცელარიო ხარჯი	303	249
სხვა	88687	333405
	676857	982865

შპს ქცია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

8. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	შენიშვნები	მიწა	ოფისის აღჭურვილობა	იჯარის კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სხვა	სულ
2021 წლის 1 იანვრისთვის	56835	159550	7847	0	318757	1836	1754889	2299714
შესყიდვა	51746		1673				187878	241297
გასვლა		60000						60000
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	108581	99550	9520	0	318757	1836	1942767	2481011
შესყიდვა	14981		4678		17450		309111	346220
გასვლა							27825	27825
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	123562	99550	14198	0	336207	1836	2224053	2799405
დაგროვილი ცვეთა								
2021 წლის 1 იანვრისთვის	13235	0	3137	0	235197	744	898922	1151235
ცვეთა	2611		875		16712	164	153960	174322
გასვლა								0
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	15847	0	4012	0	251909	907	1052882	1325557
ცვეთა	5348		957		14092	161	127406	147963
გასვლა					0		21990	21990
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	21194	0	4969	0	266001	1068	1158298	1451529
ნეტო საბალანსო ღირებულება								
2021 წლის 1 იანვრისთვის	43600	159550	4710	0	83560	1092	855966	1148479
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	92735	99550	5509	0	66848	928	889885	1155454
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	102368	99550	9230	0	70206	768	1065755	1347876

შპს ქცია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

9. საინვესტიციო ქონება

	შენობა	მიწა	სულ
2021 წლის 1 იანვრისთვის	56,835	159550	216,385
შესყიდვა	51746	60000	51746
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	108,581	99550	164,640
შესყიდვა	14981		
გასვლა			
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	123,562	99550	223,112
2021 წლის 1 იანვრისთვის	13235	0	13235
ცვეთა	2611	0	2611
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	15847	0	15847
ცვეთა	5348	0	5348
გადაფასების ნამეტი წარდგენილი მოგება ან ზარალში	0	0	0
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	21194	0	21194
ნეტო საბალანსო ღირებულება	102,368	99550	201,918
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	92,735	99550	192,285

10. მარაგები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
საქონელი	60057	73886	177083
ავტო ნაწილები	60638	7168	45237
ზეთები	6901	5887	26235
ნედლეული და მასალები	163910	114950	172985
დამხმარე მასალები	1933	32130	47119
საწვავი	25653	32615	4857
	319092	266637	473516

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო მოთხოვნები	2145513	1525755	706270
გაცემული ავანსები	185	839	135181
არაფინანსური აქტივები			
გაცემული ავანსები	0	0	0
	2145698	1526594	841451

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

გაცემული ავანსები არ არიან ვადაგადაცილებული და შესაბამისად არც გაუფასურებული.

სავაჭრო მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შპს ქცია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
ვადადამდგარი	2044980	1425876	740733
ვადაგადაცილებული	100718	100718	100718
ვადაგადაცილება 30-90			
ვადაგადაცილება 91-365	100718	100718	100718
	2145698	1526594	841451

12. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
ნაღდი ფული	1	1	1
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	691623	2228	260387
შეზღუდული ფული			
ფული გზაში			
	691624	2229	260388

13. მიღებული სესხები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
გრძელვადიანი ნაწილი	0	0	670,401
მოკლევადიანი ნაწილი	0	0	0
	0	0	670,401

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	837374	978340	467977
სახელფასო ვალდებულებები	384	190249	0
მიღებული ავანსები	1971613	0	0
დამფუძნებლის წინაშე ვალდებულებები	0	19000	0
	2809371	1187589	467977
არაფინანსური ვალდებულებები			
მიღებული ავანსები	0	0	0
	0	0	0
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2809371	1187589	467977

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

შპს ქცია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

15. საგადასახადო ვალდებულება

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2021 წლის 31 დეკემბრის, 2022 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად, როგორც ვალდებულება, წლების შესაბამისად.

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სხვა დაკავშირებული მხარეები	უმაღლესი მმართველი პირები	ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში	სულ
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	0	0	0	0
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები				
სრული შემოსავლის ანგარიშგება	0	0	0	0
შემოსავლები				
სხვა შემოსავალი				
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები				
გაყიდვის ხარჯები				

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სხვა დაკავშირებული მხარეები	უმაღლესი მმართველი პირები	ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში	სულ
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	0	0	0	0
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები				
გადასახდელი ხელფასი				
გადასახდელი დივიდენდი				
სრული შემოსავლის ანგარიშგება	0	0	0	0
შემოსავლები				

სხვა შემოსავალი

საერთო და

ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიას დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები არ გააჩნია

17. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2,8844
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3,0976	3,5040
კურსი 2021 წლის 1 იანვრისთვის	3,2776	3,2143

17. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ერთობლივი კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო

ერთობლივი კონტროლი წარმოადგენს ხელშეკრულებით დადგენილ ერთობლივ კონტროლს ეკონომიკურ საქმიანობაზე, რომელიც მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც სტრატეგიული ფინანსური და სამეურნეო გადაწყვეტილებების მიღება უკავშირდება საქმიანობას, რომელიც საჭიროებს ერთობლივად მკონტროლებელ მხარეთა (სრულუფლებიანი მონაწილეების) ერთსულოვან თანხმობას.

ერთობლივი საქმიანობა გულისხმობს ორი ან მეტი მონაწილე მხარის მიერ ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული ეკონომიკური საქმიანობის წარმართვას სახელშეკრულებო შეთანხმების საფუძველზე.

კომპანია ერთობლივ საქმიანობას აკლასიფიცირებს როგორც „ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს“, რადგან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოში ყველა სრულუფლებიან მონაწილეს თავისი წილი გააჩნია და სრულუფლებიან მონაწილეებს შორის დადებული სახელშეკრულებო შეთანხმება აწესებს ერთობლივ კონტროლს ამ საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობაზე.

კომპანია ინვესტიციას აღრიცხავს წილობრივი მეთოდის გამოყენებით, რომელიც გულისხმობს ინვესტიციის თავდაპირველად აღიარებას თვითღირებულების საფუძველზე, ხოლო შემდეგ მის კორექტირებას ინვესტირებული საწარმოს ნეტო აქტივებში ინვესტორის კუთვნილ წილში შეძენის შემდგომ მომხდარი ცვლილების შესაბამისად. ინვესტორის მოგება ან ზარალი მოიცავს მის კუთვნილ წილს ინვესტირებული საწარმოს მოგებაში ან ზარალში, ხოლო ინვესტორის სხვა სრული შემოსავალი მოიცავს მის კუთვნილ წილს ინვესტირებული საწარმოს სხვა სრულ შემოსავალში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან

გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდგება გრძელვადიან აქტივებში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე, ფულს გზაში და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, ასევე 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით, შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის საფუძველზე, გარდა მიწებისა და შენობების რომლებიც წარდგენილია რეალური ღირებულებით.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების

17. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა იცვითება საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობები	5%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
იჯარის კეთილმოწყობა	0
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
ოფისისა და მაღაზიის აღჭურვილობა	20%
სხვა	8%-15%

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოხილვა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გადაფასების ნამეტი წარდგება სრულ შემოსავალში როგორც ძირითადი საშუალების გადაფასების ნამეტი. გადაფასების ნამეტი მოგებაში ან ზარალში აღიარდება იმ ოდენობით, რამდენიც საჭიროა იმავე აქტივის ჩამოფასების თანხის საკომპენსაციოდ, რომელიც ადრე მოგებაში ან ზარალში აღიარდა.

გადაფასების შედეგად მიღებული ზარალი წარდგება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული ზარალი. გადაფასების შედეგად მიღებული ზარალი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემცირების თანხა ამცირებს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში `გადაფასების რეზერვის სათაურის ქვეშ დაგროვილ თანხას.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობები ან შენობის ნაწილი ან ორივე), რომელსაც ფლობს საიჯარო შემოსავლების მიღების ან კაპიტალის ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით. კომპანია საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარებს თვითღირებულებით. ქონების თვითღირებულება მოიცავს მისი შეძენის ფასსა და ნებისმიერ დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ საინვესტიციო ქონების შეძენასთან, როგორიცაა იურიდიული ან საბროკერო მომსახურების ღირებულება, ქონების გადაცემასთან დაკავშირებული გადასახადები და სხვა მსგავსი გარიგების დანახარჯები. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პერიოდი აღემატება სტანდარტულ პერიოდს, მაშინ საინვესტიციო ქონების თვითღირებულება იქნება ყველანაირი სამომავლო გადასახდელების დღევანდელი ღირებულება.

2022 წლის 31 დეკემბრიდან კომპანია საინვესტიციო ქონების შემდგომი შეფასებისთვის იყენებს რეალური ღირებულების მოდელს. რეალური ღირებულების ცვლილება წარდგება მოგება ან ზარალში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ამორტიზაციასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. კომპანია ფლობს განსაზღვრული ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით.

18. ძირითადი საღირსეზო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენის და აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. ფასდათმობები და გადასახადები, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში არ ჩაირთვება მარაგის თვითღირებულებაში.

კომპანია ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

კომპანია მარაგებს წარადგენს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება ან ზარალში იმ პერიოდში როდესაც წარმოიქმნა.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება

მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, 2021 წლის 31 დეკემბრის, 2022 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმოდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ბალანსის შედგენის თარიღის შემგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის

ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

33-ე განყოფილების მიხედვით კომპანია დაკავშირებულ მხარეებად განიხილავს:

პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- (i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
- (iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);
- (ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
- (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
- (v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;
- (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- (vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;
- (viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.